



პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	ოკუპაციური ¹ თერაპიის საბაკალავრო პროგრამა Bachelor Program in Occupational Therapy
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი Bachelor Of Occupational Therapy
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	240 ECTS განაწილებული 4 აკადემიურ წელსა (თითო 60 ECTS) და 8 სემესტრზე (თითო 30 ECTS), სადაც: სავალდებულო კურსები შეადგენს 205 ECTS არჩევითი კურსები - 25 ECTS თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამის ხელმძღვანელი: - თამარ გაგოშიძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, თსუ საერთაშორისო კონსულტანტი: - ჯოანა (ჰანეკე) ვან ბრუგენი, დოქტორის საპატიო სამეცნიერო ხარისხი, ბრაიტონის უნივერსიტეტი კოორდინატორი: - ნინო რუხაძე, ოკუპაციური თერაპიის მეცნიერების მაგისტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი მოთხოვნაა უცხო ენად ინგლისური

¹ ცნება ოკუპაციაში (occupation) იგულისხმება დაკავებული ყოფნა რაიმეს კეთებით, საქმიანობა. შესაბამისად, ოკუპაციური თერაპია გულისხმობს თერაპიის საშუალებად ადამიანის ჩაბმას მისთვის მნიშვნელობის მატარებელ საქმიანობებში, თვითრეალიზაციის ხელშეწყობას.



	ენის ჩაბარება. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია: • ოკუპაციური თერაპევტების მომზადება, რომლებიც ამ დარგის საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს გამოიყენებენ პროფესიული საქმიანობისას ოკუპაციური საჭიროების მქონე ადამიანთან, ჯგუფსა თუ თემთან; • საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის ოკუპაციური ბუნებისა და ოკუპაციური სამართლიანობის მნიშვნელობის შესახებ ადამიანისა თუ თემის ფუნქციონირების, ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხისა და კეთილდღეობის განსაზღვრისას; • საქართველოში კლიენტზე ცენტრირებული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ოკუპაციური თერაპიის სერვისების განვითარებაში წვლილის შეტანა.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებული: 1. განიხილავს პიროვნებას ჰოლისტურად, ითვალისწინებს რა მის ფიზიკურ, გონებრივ, ემოციურ და სულიერ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და პოტენციალს; 2. ხსნის ადამიანის/ჯგუფის/თემის საქმიანობასა და მის სირთულეებს ოკუპაციური თერაპიისა და



	ფუნქციონირების საერთაშორისო მოდელების გამოყენებით (როგორებიცაა: ადამიანის ოკუპაციის მოდელი (MOHO), ოკუპაციური ქმედების კანადური მოდელი (CMOP), ფუნქციონირების, ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICF) და სხვა); 3. არგუმენტირებულად მსჯელობს თერაპიულ მეთოდებზე, სტრატეგიებსა და მიდგომებზე და მათი გამოყენების პრინციპებზე (როგორებიცაა: კლიენტზე ცენტრირებული მიდგომა, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, პრევენციის, განათლების სტრატეგიები და ა.შ.);
უნარები	4. ქმნის სხვადასხვა ასაკის, საჭიროებისა და რესურსების მქონე ადამიანის, ჯგუფისა და თემის ოკუპაციურ პროფილს ოკუპაციური თერაპიის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; 5. იყენებს საქმიანობებს/ოკუპაციას ადამიანთან, ჯგუფთან და თემთან მტკიცებულებაზე დაფუძნებული თერაპიული მუშაობისას; 6. იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან გზებსა და სტრატეგიებს კლიენტთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7. დამოუკიდებლად ახორციელებს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკას ინდივიდთან, ჯგუფთან და თემთან პროფესიული ეთიკის, მომსახურებისა და დოკუმენტირების წესების დაცვით; 8. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს; 9. მონაწილეობს პროფესიის შესახებ საზოგადოების განათლებასა და მომსახურების განვითარებაში.



სწავლების მეთოდები	სასწავლო პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპზე და სწავლა-სწავლებისას გამოიყენება მრავალფეროვანი ინტერაქტიული მეთოდები: - დისკუსია - ჯგუფური მუშაობა - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - შემთხვევის ანალიზი - გონებრივი იერიში - დემონსტრირების - ახსნა-განმარტებითი - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტს მხარდაჭერას უწევს მენტორი პორტფოლიოს წარმოების კურსების ფარგლებში, რომელიც ეხმარება სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვაში, სასურველი გამოცდილების და რესურსების მოძიებაში, თვით-კრიტიკული უნარ-ჩვევის გამომუშავებაში.
შეფასების წესი	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულაა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100



	ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს; შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერიტი/ზეპირი/ტესტური ფორმით. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერიტი/ზეპირი/ტესტური ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.
დასაქმების სფეროები	ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია ყველა იმ სფეროში, სადაც ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს ექმნებათ ოკუპაციური საჭიროებები: უჭირთ ან ვერ ახორციელებენ მათთვის საჭირო და მნიშვნელოვან საქმიანობებს, როგორცაა თავის მოვლა, პროდუქტული საქმიანობა/მუშაობა და დასვენება/სოციალიზაცია. შესაბამისად, დასაქმების სფეროები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება პედიატრიული, ნევროლოგიური, ორთოპედიული, ფსიქიკური ჯანმრთელობის,



	გერიატრიული, თემზე დაფუძნებული მიმართულებებითა და სერვისებით. დიპლომირებული ოკუპაციური თერაპევტები მუშაობენ რეაბილიტაციის ცენტრებში, სტაციონარში თუ ამბულატორიაში, დღის თუ სადღეღამისო მოვლის ცენტრებში, პალიატიური მზრუნველობის ცენტრებში, მზრუნველობას მოკლებულ პირთათვის არსებულ სახლებსა თუ პანსიონებში, ბაგა-ბაღში, ზოგადსაგანმანათლებლო თუ სპეციალიზებულ სკოლებში, პროფესიულ სასწავლებლებში, მხარდაჭერი დასაქმების ცენტრებში, დამხმარე საშუალებების შექმნის, შერჩევის და მორგების სერვისის უზრუნველყოფის ცენტრებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში. ასევე, მონაწილეობენ კვლევით პროექტებში, სწავლებასა და ტრენინგებში.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	წლიური გადასახადი ერთ სტუდენტზე განისაზღვრება 2250 ლარის ოდენობით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან დარგის სპეციალისტები, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, მედიცინისა და სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტების კადრები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 13 (3 პროფესორი, 8 - ასოცირებული პროფესორი, 1 - ასისტენტ პროფესორი), ხოლო 21 – მოწვეული. პერსონალის CV-ებისათვის იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი. პროგრამა აღჭურვილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით: თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson ფაკულტეტზე არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროფესიული ლიტერატურა. პროგრამის პედაგოგებისა და სტუდენტების განკარგულებაშია სამუშაო ოთახი (N303) თსუ მე-3 კორპუსის შენობაში აღჭურვილი



	კომპიუტერული და საპრეზენტაციო ტექნიკით; დამხმარე საშუალებებისა და ადაპტირებული ავეჯის ნიმუშებით; სამუშაო იარაღებითა და დამხმარე საშუალებების დასამზადებელი მასალით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ოკუპაციური თერაპია შედარებით ახალი დარგია, რომლის დაარსების თარიღად შეერთებულ შტატებსა და ევროპაში 1917 წელია მიჩნეული. საქართველოში ამ პროფესიის დანერგვა 2001 წელს CORDAID-ისა და შემდეგ TEMPUS-ის პროექტებით დაიწყო (TEMPUS-MP-JEP-23154-2002). დარგის ქვეყანაში დანერგვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა 2006 წლიდან ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის არსებობა. პროგრამა თავიდანვე შეიქმნა Tuning Project-ის ფარგლებში ჩამოყალიბებულ დარგობრივ კომპეტენციებზე დაყრდნობით. ოკუპაციური თერაპიის საქართველოში დანერგვის პროექტის დირექტორი და პროგრამის თანაავტორი ქალბატონი ჯოანა ვან ბრუგენი დღესდღეობით პროგრამის საერთაშორისო კონსულტანტია (იხ. თანდართული თანხმობის დოკუმენტი). 2006-2018 წლებში პროგრამა ხორციელდებოდა მედიცინის ფაკულტეტზე. 2016 წელს პროგრამა ოკუპაციური თერაპიის მსოფლიო ფედერაციის (WFOT) მიერ აღიარებულ იქნა, როგორც სტანდარტის შესაბამისი. საქართველოში ოკუპაციური თერაპევტების ჩართულობა ბევრ ისეთ პროგრამაში მოიაზრება, როგორიცაა აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროგრამა, დღის ზრუნვის ცენტრების პროგრამა, ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პროგრამა და სხვა. შესაბამისად, ბაზარზე სპეციალისტების მოთხოვნა ძალიან მაღალია, პროგრამაზე სტუდენტების მიღება წლების განმავლობაში სირთულეს წარმოადგენდა. მეტი სტუდენტის მოზიდვისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით 2018-2019 სასწავლო წლიდან პროგრამა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება.



სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებები

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: **240 ECTS**

სავალდებულო: 205 ECTS (სპეციალობის 94 ECTS; მომიჯნავე დარგების კურსები 41 ECTS; საფაკულტეტო 10 ECTS; პრაქტიკა 60 ECTS)

არჩევითი: 25 ECTS

თავისუფალი კრედიტები: 10 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: თამარ გაგოშიძე, თსუ პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი);

ნინო რუხაძე (კოორდინატორი); ჯოანა (ჰანეკე) ვან ბრუგენი, დოქტორის საპატიო სამეცნიერო ხარისხი, ბრაიტონის უნივერსიტეტი (პროგრამის საერთაშორისო კონსულტანტი).

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2020 – 2021



სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი											
N	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
			საკონტაქტო			დ	ს		შ	გ	
			ლ	სემ	პრ						
			ე	ინა	აქ	ა	ა		ე	ა	
			ქ	რი	ტი	მ	ა		მ	ზ	
			ც	/	კუ	ა	ა		ზ	ა	
			ი	უშ	/	დ	დ		ა	ფ	
			ა	აო	ლა	ა	ა		ა	ა	
				ჯგ	ბო	ა	ა		ა	ა	
				უფ	რა	ა	ა		ა	ა	
				ი	ტო	ა	ა		ა	ა	
					რი	ა	ა		ა	ა	
					ლი	ა	ა		ა	ა	
I სასწავლო წელი I სემესტრი											
სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი (მათ შორის ოკუპაციური თერაპიის კურსები - 10 კრედიტი)											
ორიენტაცია პროფესიის ძირითად ცნებებსა და სასწავლო პროცესში											
1	ოკუპაციური თერაპიის საფუძვლები და ძირითადი ცნებითი მოდელები	5	30	30		65	125	წინაპირობის გარეშე			წინო რუხაძე, თამარ ნოზაძე
2	ადამიანის ოკუპაციური ქმედების ანალიზი	5			75	50	125				რუსუდან ლორთქიფანიძე
3	შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	5	15		75	35	125				ირინე ლოგუა
4	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 ¹	5	15	30		80	125				თამარ აბაშიძე, ირინა ჟვანია
5	ადამიანის ანატომია	5	30	60		35	125				ნოდარ ხოდელი
6	ინგლისური ენა 1 ²	5		60		65	125				რუსუდან დოლიძე
I სასწავლო წელი II სემესტრი											

¹ სავალდებულოა ნებისმიერი ორსემესტრიანი კურსის სრულად გავლა (მაგ. ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და ფსიქოლოგიის საფუძვლები 2).

² საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.




სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი (მათ შორის ოკუპაციური თერაპიის კურსები - 15 კრედიტი)											
პროფესიის სრული თერაპიული პროცესის გაცნობა											
7	ოკუპაციური თერაპია დეპრივირებულ ჯგუფებთან	4	15	30		55	100	წინაპირობის გარეშე			ნინო რუხაძე
8	ოკუპაციური თერაპიის პროცესი	5	15	30		80	125	1. ოკუპაციური თერაპიის საფუძვლები და ძირითადი ცნებითი მოდელები 2. ადამიანის ოკუპაციური ქმედების ანალიზი			ნინო რუხაძე
9	ოკუპაციური თერაპიის პროცესი - პრაქტიკული უნარ-ჩვევები	5			75	50	125	1. ოკუპაციური თერაპიის საფუძვლები და ძირითადი ცნებითი მოდელები 2. ადამიანის ოკუპაციური ქმედების ანალიზი			რუსუდან ლორთქიფანიძე
10	პორტფოლიოს წარმოება 1	1		15		10	25	წინაპირობის გარეშე			ნინო რუხაძე
11	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	5	30	30		65	125	4. ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			თამარ აბაშიძე, მაია მესტირიშვილი
12	ადამიანის ფიზიოლოგია	5	30	30		65	125	5. ადამიანის ანატომია			თამილა ბაგაშვილი
13	ინგლისური ენა 2	5		60		65	125	6. ინგლისური ენა 1			რუსუდან დოლიძე
II სასწავლო წელი III სემესტრი											
სავალდებულო კურსები – 20 კრედიტი (მათ შორის ოკუპაციური თერაპიის კურსები - 15 კრედიტი)											
ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან											
14	ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან	5	30	30		65	125	8. ოკუპაციური თერაპიის პროცესი 13. ინგლისური ენა 2			ნინო რუხაძე რუსუდან ლორთქიფანიძე ლუსი ჯალაღანია ანა გურგენიძე
15	ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები	5			90	35	125	9. ოკუპაციური თერაპიის პროცესი - პრაქტიკული უნარ-ჩვევები 13. ინგლისური ენა 2			ნინო რუხაძე რუსუდან ლორთქიფანიძე ლუსი ჯალაღანია ანა გურგენიძე
16	ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან - პრაქტიკა 1	5		15		110	125	8. ოკუპაციური თერაპიის პროცესი;			ნინო რუხაძე რუსუდან ლორთქიფანიძე



								9. ოკუპაციური თერაპიის პროცესი - პრაქტიკული უნარ- ჩვევები			
17	კინეზიოლოგია	2	30			20	50	5. ადამიანის ანატომია 13. ინგლისური ენა 2			ნინო მიქელაძე
18	პედიატრია და ბავშვთა ნევროლოგია	3	30	15		30	75	12. ადამიანის ფიზიოლოგია			ირმა გოცირიძე ირაკლი ნატროშვილი
არჩევითი კურსები - 10 კრედიტი (2 კურსი)											
19	ადამიანის განვითარება 1	5	15	30		80	125	4. ფსიქოლოგიის საფუძვლები 1			მანანა მელიქიშვილი
20	პიროვნების ფსიქოლოგია 1	5	30	15	15	65	125	4. ფსიქოლოგიის საფუძვლები 2			ლილი ხეჩუაშვილი
21	ინკლუზიური განათლება	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე			თეონა ლოდია, მაია შაშვიაშვილი
22	სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები	5	15	6	24	50	125	წინაპირობის გარეშე			ანა მიქიაშვილი, ლუსია ოგანეზოვა; თამარ ჯიქიძე
II სასწავლო წელი IV სემესტრი											
სავალდებულო კურსები – 25 კრედიტი (მათ შორის ოკუპაციური თერაპიის კურსები - 22 კრედიტი)											
ოკუპაციური თერაპია მოზარდებთან ინსტიტუციებსა და საზოგადოებაში											
23	ოკუპაციური თერაპია სწავლის სირთულეების მქონე მოზარდებთან	4	15	30		55	100	13. ინგლისური ენა 2 16. ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან - პრაქტიკა 1			თამარ ნოზაძე, მაია წულაძე
24	ოკუპაციური თერაპია სწავლის სირთულეების მქონე მოზარდებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები	4	15	30		55	100	13. ინგლისური ენა 2 16. ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან - პრაქტიკა 1			თამარ ნოზაძე, მაია წულაძე
25	ოკუპაციური თერაპია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში	4	15	30		55	100	13. ინგლისური ენა 2 16. ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან - პრაქტიკა 1			ქეთევანი ტალახაძე
26	ოკუპაციური თერაპია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში - პრაქტიკული უნარ-ჩვევები	5			60	65	125	13. ინგლისური ენა 2 16. ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან - პრაქტიკა 1			გურამ ჭეიშვილი







44	თემის განვითარება საქმიანობაზე დაფუძნებული მუშაობით	5	36	9		80	125	13. ინგლისური ენა 2 38. ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკა (სფერო სტუდენტის არჩევით)			სალომე ბარბაქაძე, ჯოანა ვან ბრუგენი
45	თემის განვითარება საქმიანობაზე დაფუძნებული მუშაობით - პრაქტიკული უნარ-ჩვევები	5		45		80	125	13. ინგლისური ენა 2 38. ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკა (სფერო სტუდენტის არჩევით)			სალომე ბარბაქაძე, ჯოანა ვან ბრუგენი
46	თემის განვითარება საქმიანობაზე დაფუძნებით - პროექტი	13		15		310	325	13. ინგლისური ენა 2 38. ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკა (სფერო სტუდენტის არჩევით)			სალომე ბარბაქაძე, ჯოანა ვან ბრუგენი
47	პორტფოლიოს წარმოება 2	2		15		35	50	10. პორტფოლიოს წარმოება 1 13. ინგლისური ენა 2			ნინო რუხაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე
IV სასწავლო წელი VIII სემესტრი											
სავალდებულო კურსები – 20 კრედიტი											
(მათ შორის ოკუპაციური თერაპიის კურსები - 20 კრედიტი)											
საბოლოო პროექტი სტუდენტისთვის საინტერესო სფეროში											
48	საბოლოო პროექტი ოკუპაციურ თერაპიაში - კვლევის გამოყენება და ხარისხის კონტროლი	4	26	19		55	100	42. ოკუპაციური თერაპია მარგინალურ ჯგუფებთან - თემზე დაფუძნებული პრაქტიკა			ანა ბეჟანიშვილი, ნინო რუხაძე
49	საბოლოო პროექტის განხორციელება ოკუპაციურ თერაპიაში - პრაქტიკა	15		15		360	375	42. ოკუპაციური თერაპია მარგინალურ ჯგუფებთან - თემზე დაფუძნებული პრაქტიკა			რუსუდან ლორთქიფანიძე, ნინო რუხაძე
50	პორტფოლიოს მომზადება წარსადგენად	1		15		10	25	42. ოკუპაციური თერაპია მარგინალურ ჯგუფებთან - თემზე დაფუძნებული პრაქტიკა			რუსუდან ლორთქიფანიძე, ნინო რუხაძე

